**მხურვალე სალამი საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობას!**

# დელეგატებო!

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობა. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა ღირსეული წარმატებებით ხვდება თავის ფორუმს. საქართველოს ქაბუკებმა და ქალიშვილებმა სანაქებოდ იშრომეს ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დედაქალაქის მეტროპოლიტენისა თუ ენგურჰესის მშენებლობაში. ბევრი ქართველი ახალგაზრდა პირნათლად მუშაობს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც — ურალში, ციმბირში, მოსკოვის ოლქსა თუ ყაზახეთის ყამირ მიწებზე. ასეულობით კომკავშირელმა მიიღო სამკერდე ნიშანი „თბილისის მეტროს მშენებელი“, მედალი „ყამირის ათვისებისთვის“, კომკავშირის საკავშირო და საქართველოს ცენტრალური კომიტეტების საპატიო სიგელები და სხვ.

საქართველოს ახალგაზრდობა გულმოდგინედ ეწაფება ცოდნას სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, დიდ გამარჯვებებს აღწევს კულტურისა და სპორტის სარბიელზე. ჩვენი სპორტსმენების დევიზი ესაა: „შრომაშიც პირველი, სწავლაშიც პირველი, სპორტშიც პირველი“. ახლახან გამართულ რაიონულ, საქალაქო და საოლქო კონფერენციებზე სწორედ ყოველმხრივ სანიმუშონი დაასახელეს საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობის დელეგატებად. აი, საქართველოს სპორტსმენთა 12 წარგზავნილი: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კალათბურთში ზურაბ საკანდელიძე, მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში რომან რურუა, 200 მეტრზე სვლით მსოფლიო რეკორდის მფლობელი და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის მეორე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში გურამ სალარაძე, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ნანა ალექსანდრია, ქართული ტანვარჯიშის ოსტატები ალექსანდრა ჭანუყაშვილი და როზა ბერიკაშვილი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელი თარჯრბენში ლიუდმილა იევლევა და მეორე პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში ვიქტორ სანეევი, ახალგაზრდა მსროლელი ხულიკო ფარულავა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 40 (3524)

1968 წ. 27 თებერვალი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 34-ე წელი.


## საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუმრები

23 თებერვალს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში სტუმრად იყვნენ ზამთრის X ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა სპორტსმენები. ამ შეხვედრის მონაწილეთ ასპარეზობის შედეგების შეჯამება არ ჰქონიათ მიზნად, დიდი და სერიოზული მსჯელობა საბჭოთა ოლიმპიელების წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ჯერ კიდევ წინაა. ამჯერად კომკავშირის წარმომადგენლებმა მხოლოდ გამარჯვება მიულოცეს საუკეთესო სპორტსმენებს და შთაბეჭდილებათა გაზიარება სთხოვეს.

შეხვედრა გახსნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ჩესნავიჩუსმა, რომელმაც სპორტსმენებს საბჭოთა არმიის იუბილე და სამშობლოში დაბრუნება მიულოცა.

გრენობლის დაძაბული ბატალიების ამბავი შეკრებილთ უამბეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ტრამპლინიდან მხტომელმა ვ. ბელოუსოვმა, ბიატლონისტმა ვ. მამატოვმა, სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანმა ბ. მაიოროვმა, აგრეთვე, ჩვენი მოთხილამურეების მწვრთნელმა ა. კოლჩინმა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ქაროვი. მან შეკრებილთ აუწყა, რომ ოლიმპიადის დღეებში საბჭოთა სპორტულ დელეგაციას უამრავი გულთბილი წერილი და დეპეშა მისდიოდა ჩვენი სპორტის მოყვარულებისგან. (საქდესი).

## დღის ნომერში:

მსოფლიოს 2 ახალი რეკორდი

1-ლი გვ.

ოლიმპიადა — მოჭიდავეთა მთავარი საზრუნავი

მე-3 გვ.

ვის გაუღიმებს ენძელა?

მე-3 გვ.

ფრედ ანტონ მაიერი დაუმარცხებელია

მე-4 გვ.

## ოლიმპიურ სიმაღლეზე

მეხიკო, 26 თებერვალი. მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში მსოფლიოს ორი და ამდენივე საკავშირო რეკორდი დაამყარეს მექსიკელ ძალოსნებთან ასპარეზობისას საბჭოთა ათლეტებმა. ი. ტალტსმა (ქვემძიმე წონა) აჰკრა 195 კგ, რითაც 1 კილოგრამით დაამძიმა თავისივე მსოფლიო რეკორდი. საშუალო წონის ათლეტმა ვ. ბელიაევმა 150,5 კგ აიტაცა, რითაც ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა იაპონელი ოუჩის მსოფლიო რეკორდი.

ჩვენმა ყველაზე „პატარა გოლიათმა“ ა. ვახონინმა (მჩატე წონა) აიტაცა 112,5 კგ, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია. საკავშირო რეკორდი ჩაიწერა აქტივში ტალტსმაც, როცა 152,5 კგ აიტაცა. ტალინელმა სპორტსმენმა სამჭიდში 500 კგ დააგროვა. იგი ახლა ერთადერთი ქვემძიმეწონოსანია მსოფლიოში, რომელმაც 500 კგ „აითვისა“. ვახონინის მაჩვენებელი სამჭიდში 357,5 კილოგრამია, ა. კალინიჩენკოსი (ქვემძიმე წონა) — 495, ხოლო ბ. სელიცკისა (საშუალო) — 482,5.

„ჩვენი სპორტსმენებისთვის მექსიკაში ასპარეზობა სერიოზული „რეპეტიცია“ იყო ოლიმპიური თამაშების წინ. ეს ძალთა თავისებური მოსინჯვაა მექსიკის ბუნებრივ პირობებში და ნამდვილად სასარგებლო იყო“, — განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა რ. რომანმა. მან ულრმესი მადლობა გამოთქვა მექსიკის ძალოსნობის ფედერაციისადმი შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისა და გულთბილი მიღებისთვის.



ს უ რ ა თ ზ ე: ა. მეტრეველი თამაშის დროს.

ფოტო მ. თათარაშვილისა.

◆ ოკლენდი, 26 თებერვალი. ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ჩემპიონატში, რომელიც ადგილობრივ დარბაზში მიმდინარეობს, საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი ახალი წარმატება მოიპოვეს: ამერიკის ჩემპიონი გახდა მოსკოველი ტ. ტალიშევა, რომელმაც უველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში — 621 სმ. II ადგილი დაიკავა მასპინძელმა მ. უოთსონმა, რომელიც 17 სანტიმეტრით ჩამორჩა გამარჯვებულს. სიმაღლეზე ხტომაში ქვეყნის ახალი მიღწევით საუკეთესო იყო ე. მონტგომერი — 179 სმ. მოსკოველი ა. ოკოროკოვა II ადგილზე გავიდა — 175 სმ. ამ შეჯიბრების სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდა ამერიკელი ათლეტის ჯორჯ ვუდსის მაჩვენებელი ბირთვის კვრაში — 20,20 მ.

## შტეინი ლიდერობას განაგრძობს

ლოს-ანჟელოსი, 26 თებერვალი. მხოლოდ 22 სვლა გაკეთდა ვ. ჰორტისა და ს. რეშევსკის მეორე შეხვედრაში: მეტოქენი ყაიმით დაკმაყოფილდნენ. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მერვე საგზურის მაძიებელმა დიდოსტატებმა მატჩ-ტურნირის პირველი ნახევარი დაასრულეს.

გუშინ ლ. შტეინისა და ს. რეშევსკის მესამე შეხვედრით დაიწყო შეჯიბრების მეორე ნახევარი. შტეინმა მხოლოდ მაშინ მოიპოვა უპირატესობა, როცა მრავალრიცხოვანი გაცვლების შემდეგ მისმა ეტლმა მე-7 ჰორიზონტალი დაიკავა. ამერიკელი თავგამოდებით იცავდა თავს და 37-ე სვლისთვის საგსებით გაათანაბრა მდგომარეობა. ყაიმი.

**მატჩ-ტურნირის ცხრილი**

| | გვარი, ქვეყანა | 1 | | | | 2 | | | | 3 | | | | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) | | | | | ½ | 0 | | | ½ | ½ | | | | |
| 2 | ლ. შტეინი (სსრ კავშირი) | ½ | 1 | | | | | | | ½ | ½ | ½ | | | |
| 3 | ს. რეშევსკი (აშშ) | ½ | ½ | | | ½ | ½ | ½ | | | | | | | |

# ისევ ალექსანდრე მეტრეველი!

მოსკოვი, 25 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს აქ დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში.

ა. მეტრეველისა და თ. ლეიუსის ფინალური მატჩი დაძაბულად წარიმართა. ქართველმა ჩოგბურთელმა პირველი ხელი მოიგო (6:4), მომდევნო კი ამავე ანგარიშით დათმო. იგი მესამე ხელსაც აგებდა (2:5), მაგრამ შეძლო ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 9:7. მეტრეველმა მოიგო ბოლო, მეოთხე ხელიც (6:4) და პირველობა გაინაღდა (ნახევარფინალში მან დაამარცხა შვედი ჰ. ნერელი — 8:6, 6:4, 8:6, ლეიუსმა კი ს. ლიხაჩოვი — 6:3, 3:6, 7:5, 6:3).

ახევე უშეღავათოდ გამოდგა ქალთა ერთეულების ფინალური შეხვედრა ინგლისის მეორე ჩოგან ვ. უეიდსა და სსრ კავშირის ჩემპიონ გ. ბაკშეევას შორის. გაიმარჯვა 22 წლის ინგლისელმა — 6:1, 6:8, 6:4 (ნახევარფინალში უეიდმა მოუგო ა. დმიტრიევას — 6:2, 7:5, ბაკშეევამ კი — ო. მოროზოვას — 6:2, 6:3).

ამ ტურნირში მეტრეველმა კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა: დმიტრიევასთან ერთად ფინალური ასპარეზობა მოუგო ბაკშეევასა და ლეიუსს — 2:6, 9:7, 7:5.

ქალთა და ვაჟთა წყვილების ფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: ფრანგებმა პ. ბიოსტმა და დ. კონტემ აჯობეს მეტრეველსა და ლიხაჩოვს — 6:1, 6:4, 10:8, ხოლო დმიტრიევამ და ბაკშეევამ დაამარცხეს მოროზოვა და რ. ისლანოვა — 6:2, 7:5.

## ცხელი ამბები

# ქართველი მოფარიკავე — საუკეთესო

# ყინულზე „ნაპოვნი“ ოქრო

● ჰავანა, 25 თებერვალი. სოციალისტური ქვეყნების „ოლიმპიურ იმედთა“ აქ გამართულ ტრადიციულ ტურნირში, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა სახელმწიფოში, ახალგაზრდა ხაბჭოთა მოფარიკავეებმა ოქროს ყველა მედალი მოიხვეჭეს. ქალიშვილებში ყველას აჯობა ამ სახეობის ცნობილი მინსკელი მწვრთნელების ლარისა და გერმან ბოკუნების შვილმა ირინამ. რაპირისტებში პირველი იყო შ. გალაფუტდინოვი, დაშნით მოფარიკავეებში — ი. სამოშკინი, ხოლო ესპადრონისტებში — თბილისელი დ. შარაშენიძე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და კუბის წარმომადგენლები.

● მოსკოვი, 25 თებერვალი. მოსკოველმა სტუდენტმა, 20 წლის ვ. სმირნოვმა დღეს აქ ყველას აჯობა 60-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში: ქალაქების ტრადიციული მატჩის მონაწილემ 226,3 ქულა დააგროვა, თანაც მეორე ცდისას ყველაზე შორს, 71 მეტრზე გადახტა. II ადგილი დაიკავა სმირნოვის თანაქალაქელმა ა. ივანიკოვმა — 220,9 ქულა.

● უფა, 25 თებერვალი. ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ საბჭოთა სპორტსმენმა, ამჯერად გ. კადიროვმა მოიპოვა. ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 27 წლის კადიროვმა ამ პოსტზე შეცვალა სახელგანთქმული თანაქალაქელი ბ. სამოროდოვი. მსოფლიო ჩემპიონატი ოთხ ეტაპად გათამაშდა, მათგან სამში კადიროვმა 43 ქულა მოაგროვა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ წილად: ვ. ციბროვმა 43 ქულა მოაგროვა, ხოლო სამოროდოვმა — 41.

● ლენინგრადი, 25 თებერვალი. კარტინგებით ყინულზე რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი დღეს აქ მოიხვეჭა ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტმა-დიპლომანტმა, 24 წლის ა. ზაგრადინმა. მან ხუთივე ფინალური სერია მოიგო. დიდ წარმატებას მიაღწიეს კურსკელმა მრბოლელებმა: მ. ტოდოროვმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ვ. ტრუბნიკოვმა — ბრინჯაოსი.

ცხელი ამბები

# მთავარია ბაზები და ინვენტარი

სათხილამურო სპორტი ბოლო წლებში საგრძნობლად განვითარდა საერთაშორისო სარბიელზე: რბენაში, ხტომაში, ორჭიდში, სამთო სახეობებში იმატა უმაღლესი კლასის სპორტსმენთა რიცხვმა, გაიზარდა მაჩვენებლები. ეს დაადასტურა გრენობლის ოლიმპიადამაც, სადაც გამარჯვების საკითხს ყველა სახეობაში მეათედი წამები, მეასედი ქულები და მეტრები წყვეტდა.

ამ წინსვლის ექო საქართველოსაც მოსწვდა, მაგრამ ჩვენში დღესდღეობით მხოლოდ სამთოსათხილამურო სპორტის შემდგომ განვითარებაზე თუ შეიძლება ლაპარაკი.

ჩვენ უკვე გაგაცანით ტექნიკური შედეგები რესპუბლიკური პირველობისა, რომელიც ამას წინათ გაიმართა ბაკურიანში. ახლა ამ შედეგებიდან მხოლოდ რამდენიმეს მოვიშველიებთ მაგალითისთვის წერილში, რომელშიც საქართველოში საერთოდ სათხილამურო სპორტის განვითარების ავ-კარგზე გვსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვათ.



სახეობების მიხედვით მივყვეთ:

სამთოსათხილამურო სპორტი. ვაჟთა ტურნირს ვერ დავემდურებით. მართლაც ძლიერი სპორტსმენები მხოლოდ I ჯგუფის (თბილისი, ბორჯომი, მესტია) გუნდებმა გამოიყვანეს და შეჯიბრების ბევრმა მონაწილემ მაღალი შედეგიც აჩვენა. მარტო სწრაფდაშვებაში აღნიშნული 3 გუნდის 22 მოთხილამურე ასპარეზობდა (II ჯგუფის გუნდების სპორტსმენები ამ სახეობაში არ გამოდიოდნენ) და მათგან მხოლოდ ოთხმა ვერ მიაღწია ფინიშს. 1600-მეტრიან ტრასაზე პირველობის მთავარ პრეტენდენტს, სპორტის ოსტატ გ. აბრამიშვილს ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტის ოსტატი ი. ნასყიდაშვილი (ორივე— თბილისი) შეეცილა და მასთან ერთად გაიყო გამარჯვება. მათ ერთნაირი შედეგი (1.04,9) აჩვენეს.

დაძაბული ბრძოლით გამოირჩეოდა გიგანტური სლალომიც. ნასყიდაშვილისა და აბრამიშვილის შეჯიბრება ამჯერად ნასყიდაშვილის სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ სპორტის ოსტატის ნორმატივი ორივემ შეასრულა. სხვა შვიდმა მოთხილამურემ I თანრიგის შედეგი აჩვენა. ვაჟებმა სპეციალურ სლალომშიც კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს. ახლა ამ სახეობაში ათამდე საიმედო მოთხილამურე გვყავს.

თავი გამოიჩინა თბილისისა და ბორჯომის გუნდების რამდენიმე სამთომოთხილამურე ქალმაც, მესტიელებმა კი ამჯერად იმედი ვერ გაამართლეს.

ვერაფრით გაგვახარეს II ჯგუფის წარმომადგენლებმა (აჭარა, სამხრეთ ოსეთი, ქუთაისი, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, ამბროლაური, ონი, ლენტეხი). ამ გუნდების წევრთა უმეტესობა შეჯიბრებას ძლივს ამთავრებდა (გამონაკლისია მხოლოდ ქუთაისელი ლიანა გოგოლაძე).

რბენა. ქალები 5 და 10 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ორივე დისტანციის სტარტზე 60 სპორტსმენი გამოვიდა, მაგრამ მაღალი შედეგებით ვერც ერთი ვერ დაიკვეხნის. რბენის თანამედროვე ტექნიკას მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობს, ფიზიკურ მომზადებაში კი ყველა საგრძნობლად მოისუსტებს. სპორტის ოსტატი კ. კეხბა (თბილისი) იყო ერთადერთი, ვინც I თანრიგის ნორმატივი შეასრულა: 5 კმ 20 წუთსა და 58 წამში გაირბინა. ქუთაისელმა ჯ. მეფარიშვილმა ამავე მანძილის გავლას 38.57,0 მოანდომა, ახალქალაქელმა ზ. აჯამოღლიანმა კი ... 40 წუთზე მეტი. 10 კილომეტრზე რბენაში ბოლო ადგილზე გასულმა ა. მგდესიანმა (ახალქალაქი) ტრასაზე თითქმის საათნახევარი დაჰყო, კეხბას კი გამარჯვებისთვის 48.57,0 დასჭირდა.

მორბენალი ქალების სუსტ მომზადებას ისიც ადასტურებს, რომ თბილისის გუნდმა ესტაფეტაში 3×5 კილომეტრზე 1:21.30 აჩვენა და II ადგილზე გასულ ბორჯომის ტრიოს 10 წუთით აჯობა. მესტიელებმა ბორჯომის კოლექტივთან 9 წუთი წააგეს.

ვაჟებში 15 და 30 კილომეტრზე რბენა მესტიელმა ზ. გულბანმა მოიგო. მას ვერც ტექნიკურ მომზადებაში დავდებთ წუნს, ვერც ფიზიკურში, მაგრამ გამარჯვებულს ღირსეულ მეტოქეობას ვერავინ უწევდა და ისიც ალბათ თავს არ იკლავდა მაღალი მაჩვენებლისთვის. საქართველოს ჩემპიონის შედეგები (56.07,0 და 2:12.50) მეტად უსუსური მოგვეჩვენება, თუ გრენობლის ოლიმპიადის თვალით შევხედავთ. თავად განსაჯეთ: იქ სსრ კავშირის გუნდიდან საუკეთესომ ა. აკენტიევმა 30 კილომეტრზე რბენაში 1:37.52,4 აჩვენა და მხოლოდ X ადგილი დაიკავა.

გულბანს როდი ვსაყვედურობთ. საყვედური სხვებს უნდა ვუთხრათ, მაგალითად, ქუთაისელ მ. მიქაბერიძეს (3:10.35) და ონელ ლ. რაზმაძეს (3:23.53).

კურიოზული იყო ბიათლონში შეჯიბრება (20 კილომეტრზე რბენა და სროლა). სტარტზე გამოსული 5 სპორტსმენიდან ჩათვლა ოთხმა მიიღო. მეხუთე მონაწილე დ. ჯაფარიძე (მესტია) შეჯიბრებიდან მოხსნეს, რადგან არც ერთი ტყვია არ გაუსვრია (!). სახარბიელო შედეგები არც სხვებს ჰქონდათ. მაგალითად, თბილისის გუნდის წევრი ნ. ოზეროვი, რომელმაც III საპრიზო ადგილი დაიკავა, საბოლოოდ 36 წუთით დაჯარიმდა. კარგი შთაბეჭდილება მხოლოდ ჩემპიონმა კ. მიქაბერიძემ (ბორჯომი) დატოვა.

ხტომა. ორჭიდი. ამ სახეობებში სპორტის ოსტატის ნორმატივი შესრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება, თუ ასპარეზობა 60-მეტრიან და მეტი სიმძლავრის ტრამპლინზე ტარდება. საქართველოს პირველობაზე შეჯიბრება კი 40-მეტრიან ტრამპლინზე გაიმართა, ვინაიდან 70-მეტრიანი ტრამპლინის მოწყობა ვერ მოასწრეს. ამასთან, მონაწილეთა უმეტესობა (განსაკუთრებით II ჯგუფის გუნდები) მეტად სუსტად იყო მომზადებული. გამონაკლისს მხოლოდ თბილისისა და ბორჯომის გუნდები წარმოადგენენ (ბორჯომელმა ა. ქუმარიტაშვილმა ტრამპლინის რეკორდიც დაამყარა— 50 მ).

ტრამპლინიდან ხტომა მოიგო სპორტის ოსტატმა მ. გავამ (თბილისი). იგი 47 და 41 მეტრზე გადახტა და 245 ქულა მოაგროვა, ამბროლაურელმა ა. გურგენიძემ კი (21 და 18 მ) 35,4 ქულა მიიღო (!). მას არც ლენტეხელი ზ. ონიანი (73,8 ქულა) და მესტიელი ჯ. გუჯეჯიანი (91,3) „ჩამორჩნენ“.

არც ორჭიდში გვაქვს საქმე კარგად. ხტომას კიდევ არა უშავს, მაგრამ რბენაში ჩვენები საგრძნობლად მოიკოჭლებენ.

რა არის ამ წარუმატებლობის მიზეზი?

პირველ ყოვლისა, სათანადო ბაზებისა და ინვენტარის სიმცირე. რესპუბლიკური ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ ბაკურიანში ჩამოსული გუნდების წარმომადგენლებს: საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ გ. ჯაფარიძეს (მესტია), ლენტეხის სპორტკავშირის თავმჯდომარეს მ. მუკბანიანს, ამბროლაურელ ა. ვაჩაძეს, აჭარის გუნდის წარმომადგენელს ს. ოგანეზოვს. ისინი ერთხმად ჩიოდნენ ბაზების, ინვენტარის, საცხოვ სიმცირეს. მესტიაში, მაგალითად, საშველი არ დაადგა საბაგირო გზის მოწყობას.

სამთო ტრასები, ტრამპლინები, საკმარისი ინვენტარი არც სხვა რაიონების მოთხილამურეებს აქვთ. ამბროლაურელებს წლევანდელი სეზონისთვის კარგა ხანია დაუჭერიათ თადარიგი, მაგრამ როგორც ვაჩაძემ გვითხრა, მათთვის განკუთვნილი ინვენტარი თბილისისა და ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციებს შორის უკვალოდ გამქრალა. იგივე დაგვიდასტურა ლენტეხის სპორტკავშირის თავმჯდომარემაც.

სამთო ტრასები და ტრამპლინები დღემდე ვერ მოეწყო აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. რესპუბლიკურ ჩემპიონატებში სამხრეთ ოსეთი ყოველწლიურად მარტო მორბენლებს გზავნის, ორჭიდის, ხტომის, სამთო სახეობების განვითარებისთვის კი სპორტკავშირის და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საოლქო საბჭოები არაფერს აკეთებენ.

ბაზების საქმე არც ბაკურიანშია კარგად. მშენებლობა 90-მეტრიანი ტრამპლინისა, რომელიც საექსპლოატაციოდ შარშან უნდა გადაცემულიყო, წლევულსაც არაა დამთავრებული. საქართველოს სპორტკავშირის ბაზა-პანსიონატის გახსნა სანოემბროდ იყო დაგეგმილი, მაგრამ საქმეს სასიკეთო პირი ჯერაც არ უჩანს. აღარას ვამბობთ საბაგირო გზების სიმცირეზე.

ვფიქრობთ, არც ისაა სწორი, რომ I ჯგუფში მხოლოდ თბილისის, მესტიისა და ბორჯომის გუნდები ასპარეზობდნენ. ისინი ყველა ვარიანტში იკავებდნენ საპრიზო ადგილებს, ეს კი ვერაფერი სტიმულია სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის. აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ახალქალაქის გუნდები ამ რამდენიმე წლის წინ წარმატებით ასპარეზობდნენ I ჯგუფში, წლეულს კი რატომღაც II ჯგუფში ამოყვეს თავი, რაც მათ მხოლოდ უმოქმედობისკენ უბიძგებს.

სხვათა შორის, ტურნირს აშკარად აკლდა მსაჯებიც.

**ო. გელაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ბაკურიანი.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მარცხნივ — ზ. გულბანი ასპარეზობისას; შუაში — გ. აბრამიშვილი სწრაფდაშვების ტრასაზე; ქვევით — ლ. გოგოლაძე შეჯიბრების დროს.

ფოტო ავტორისა.





სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# არასტუმართმოყვარე მასპინძლები

გასულ შაბათსა და კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები.

რიგაში ადგილობრივმა არმიელებმა ცუდი მასპინძლობა გაუწიეს ცსკა-ს: ორივე მატჩი მოუგეს სტუმრებს — 95:80 და 63:56. სხვათა შორის, ცსკა-მ პირველად წააგო ზედიზედ ორი შეხვედრა.

ლენინგრადში გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა — „სპარტაკმა“ დაამარცხა ტარტუს „კალევი“. პირველი მატჩის ანგარიშია 75:68, მეორისა — 63:56.

კიევში ადგილობრივი „სტროიტელი“ მასპინძლობდა ბაქოს „ბურევესტნიკს“. სტუმართმოყვარეობის კანონი აქაც დაირღვა. მასპინძლებმა ორივე მატჩი მოიგეს — 95:78 და 97:87.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 24 | 17 | 7 | 1741—1622 | 17 |
| ასკ (კიევი) | 24 | 16 | 8 | 1696—1572 | 16 |
| „დინამო“ (თბილისი) | 22 | 15 | 7 | 1643—1505 | 15 |
| ცსკა | 24 | 14 | 10 | 1506—1464 | 14 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 24 | 14 | 10 | 1600—1569 | 14 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 24 | 13 | 11 | 1585—1541 | 13 |
| ვეფ (რიგა) | 24 | 13 | 11 | 1745—1692 | 13 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 24 | 12 | 12 | 1702—1689 | 12 |
| ასკ (რიგა) | 24 | 11 | 13 | 1738—1736 | 11 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 22 | 10 | 12 | 1409—1382 | 10 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 26 | 4 | 22 | 1895—2211 | 4 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 22 | 3 | 19 | 1493—1780 | 3 |

## რაიონებში სპარტაკიადა

### ადიგენი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. გაიმარჯვეს აბასთუმნის საშუალო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა.

**ნ. მამულაშვილი,**
**ადიგენის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**

### ხობი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 17 გუნდი. უძლიერესის სახელი მოიპოვეს ხობის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

**ს. არჯევანიძე.**

### თელავი

ფშაველის ბიბლიოთეკაში მოეწყო დიდი სტენდი, რომელიც სპორტულ თემატიკას მიეძღვნა. იქ გამოფენილ ფოტოსურათებზე ასახულია ფშაველი ფეხბურთელების, ფრენბურთელების, კალათბურთელებისა და მოჭადრაკეების ცხოვრება.

**შ. ჯაჭვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფავორიტები ფავორიტებად რჩებიან





## თბილისის საერთაშორისო...

თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის დაწყებამდე ცხადი იყო, რომ საპრიზო ადგილების უმეტესობა სსრ კავშირის, ირანისა და ბულგარეთის ათლეტთა შორის განაწილდებოდა. და მართლაც, როცა ტურნირის შედეგები შეჯამდა, გამოირკვა, რომ ზემოჩამოთვლილ ფავორიტთა რიგებს მხოლოდ მონღოლეთის 3 ათლეტი და 1 შვედი მოჭიდავე შეეხიზნა: დანარჩენ საპრიზო ადგილებს სსრ კავშირის (4 პირველი, 3 მეორე, 1 მესამე), ირანის (1 პირველი, 6 მესამე) და ბულგარეთის (2 პირველი, 3 მეორე) სპორტსმენები დაეპატრონენ.

ჩვენ ვესაუბრეთ ბულგარეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ რაიკო პეტროვს, რომელიც 1953 წლიდან უცვლელად ხელმძღვანელობს ეროვნულ გუნდს. მან ობიექტურად შეაფასა ტურნირის მნიშვნელობა, თანაც დასძინა: შეჯიბრება უფრო საინტერესო იქნებოდა, ირანს, სსრ კავშირსა და ბულგარეთს უძლიერესი მოჭიდავეები რომ გამოეყვანათ.

— კი მაგრამ, რატომ არ მიეცით მაგალითი თქვენს კოლეგებს? — ვკითხეთ მწვრთნელს.

— იმიტომ, რომ წინასწარ ვიცოდი: ჩემს ინიციატივას არავინ გაიზიარებდა.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით იყო ნათქვამი, სინამდვილე კი გაცილებით რთული და გაურკვეველია. პეტროვი გულახდილად გვესაუბრა თავისი გუნდის პერსპექტივებზე, ილაპარაკა სსრ კავშირის ნაკრებზეც და ბოლოს დაბეჯითებით განაცხადა, რომ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ალბათ ისევ ვეტერანთაგან შედგენილ გუნდს გავუძღვებით. სხვათა შორის, იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ასევე მოიქცევა სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. დიაკინიც, თუმცა მას პეტროვზე მდიდარი არჩევანი აქვს.

ოლიმპიური თამაშები დღეს ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელთა მთავარი საზრუნავია, მაგრამ მეხიკოს პრობლემებს ყველა თავისი საზომით უდგება. სსრ კავშირის, ბულგარეთისა და ირანის მოჭიდავეები ვალდებული არიან შეინარჩუნონ მოწინავე პოზიციები. მონღოლეთის გუნდი ჯერ კიდევ ძიების პროცესშია და ამიტომ მისი მდგომარეობაც იოლია: წააგებ, ყველაფერი გეპატიება, წარმატებას მიაღწევ, ქება და დიდება გამარჯვებულს! პოლონელები, ჩეხოსლოვაკიელები, იუგოსლაველები მსოფლიო საჭიდაო სარბიელზე მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ, ამიტომ ისინიც, მონღოლეთის მოჭიდავეებისა არ იყოს, მეხიკოში არაფერს კარგავენ.

ეს ტენდენცია, სხვათა შორის, თბილისის საერთაშორისო ტურნირშიც იგრძნობოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მონღოლეთის ათლეტები მშვიდად და ძალდაუტანებლად იბრძოდნენ და ერთგვარად შეავიწროვეს კიდეც ფავორიტთა რიგები (დიდ სამეულს მათ 1 პირველი და 2 მეორე ადგილი წაართვეს).

წინა წლებთან შედარებით სუსტად გამოვიდნენ საქართველოს მოჭიდავენი. მართალია, უძლიერესები საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან და ამიტომ შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს, მაგრამ ერთი გამარჯვებული ტურნირის ორგანიზატორი რესპუბლიკისთვის მაინც ცოტაა.

**ნ. ბუბუშვილი.**

* * *

მოგვყავს თბილისის VII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ტექნიკური შედეგები:

**უმძიმესი წონა:** 1. სეიდ აკბარ ჰეიდარი (ირანი), 2. ი. აზისოვი (ბულგარეთი), 3. ტ. ალიბეგაშვილი (სსრ კავშირი).

**მძიმე:** 1. პ. მალიანი (სსრ კავშირი), 2. ი. პატრიკოვი (ბულგარეთი), 3. აბდულ ბაგერი (ირანი).

**ნახევრადმძიმე:** 1. ქ. ტოდოროვი (ბულგარეთი), 2. ვ. კაზახოვი (სსრ კავშირი), 3. მ. ხაჩქაზემი (ირანი).

**მსუბუქი:** 1. სრეტერი (მონღოლეთი), 2. ნ. ხოხაშვილი (სსრ კავშირი), 3. ჯ. კარლსონი (შვეცია).

**ნახევრადსაშუალო:** 1. ი. შახმურადოვი (სსრ კავშირი), 2. ს. ბიმბალოვი (ბულგარეთი), 3. აბას აბასი (ირანი).

**საშუალო:** 1. ა. ცხოვრებოვი (სსრ კავშირი), 2. მუნხბატი (მონღოლეთი), 3. მ. საჰრაი (ირანი).

**ნახევრადმძიმე:** 1. ვ. გულიუტკინი (სსრ კავშირი), 2. ბაიანმუნხი (მონღოლეთი), 3. პ. ამირი (ირანი).

**მძიმე:** 1. ვ. ვასილევი (ბულგარეთი), 2. ბ. გოგნაძე (სსრ კავშირი), 3. დ. აიუგი (ირანი).

* * *

**სურათზე:** სსრ კავშირის ნაკრების წევრის ა. ცხოვრებოვის ჭიდაობას (ატარებს ილეთს) გულმოდგინედ ადევნებს თვალს მწვრთნელი ა. დიაკინი.

ფოტო ა. საკოვისა.

## „კოლმეურნის" ჩემპიონები

**ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლში გაიმართა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სამბოში. შეჯიბრებისადმი ინტერესი გაზარდა იმანაც, რომ მასში 9 სპორტის ოსტატი და 70 პირველთანრიგოსანი გამოდიოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, I ადგილი კასპის რაიონის მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს (მწვრთნელი ლ. კაციაშვილი). II ადგილი წილად ხვდა გარდაბნის, ხოლო III — დუშეთის რაიონის გუნდს.**

**წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: შ. შაქარაშვილმა, ბ. ლიპარიშვილმა (ორივე — კასპი), ო. მაისურაძემ (აფხაზეთი), გ. ბალხამიშვილმა (კასპი), ს. ბლარაშვილმა, თ. გულბანმა (ორივე — გარდაბანი), გ. ჯანგირაშვილმა (დუშეთი), გ. ნოზაძემ (ხაშური).**

**მ. შარიძაძე.**

## 1:0 და 0:0

25 თებერვალს გაიმართა „ენძელას" თასზე მონაწილე გუნდების სხვა შეხვედრებიც.

სამარყანდში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". კაზაკოვის მიერ მე-7 წუთზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „კრილია სოვეტოვს" — 1:0.

ასეთი ანგარიშით დამარცხდა მოსკოვის „სპარტაკი" როსტოვის არმიელებთან შეხვედრაში, ხოლო „პახტაკორმა" მოუგო „პოლიტოტდელს" (ტაშკენტის ოლქი).

ფრედ — 0:0 დამთავრდა შემდეგი შეხვედრები: „დინამო" (მინსკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „ზენიტი" (ლენინგრადი) — „არარატი" (ერევანი), „შახტიორი" (დონეცკი) — „კაირატი" (ალმა-ათა).

**ფეხბურთი**

**ფეხბურთი**

„ენძელას" თასზე

## საწვრთნელი მატჩის ფარგლებში

**თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 25 თებერვალი.**

**„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1 (1:1).**

**„დინამო": კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჰელიძე, კანთელაძე (შერგელაშვილი), ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი (ქიქავა), კუტივაძე, მეტრეველი, გავაშელი (ქორიძე), მესხი (ლ. ნოდია).**

**„ტორპედო": ნარსია, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, წვერავა, ერქომაიშვილი (ჭოლაძე), ასიტაშვილი, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე (ნაჭყებია).**

**მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).**

ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდის კალენდარულ შეხვედრას „ენძელას" პრიზზე ტიპიური საწვრთნელი მატჩის ხასიათი ჰქონდა. არც თბილისელები, არც ქუთაისელები მაინცდამაინც არ ცდილან მოგებისთვის ეთამაშათ. ბურთი უმთავრესად შუა მინდორში ტრიალებდა, თავდამსხმელები არც ჩქარობდნენ შეტევის განვითარებისას და სიმწვავესაც ნაკლებად ქმნიდნენ მეტოქის კართან. მართალია, პირველ ტაიმში იყო რამდენიმე გამონაკლისი, როცა თავდამსხმელებმა ნამდვილად გამოაჩინეს თავიანთი „ბრჭყალები" და იერიშს შესაფერისი დაბოლოება მისცეს. რაც შეეხება მეორე ტაიმს, იგი მიმდინარეობდა სავსებით „მშვიდობიანად", ვიმეორებთ, წმინდა საწვრთნელი ინტერესების ნიშნით.

რა შეიძლება ითქვას მეტოქეთა მომზადების სადღეისო დონეზე? დინამოელები, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ შორს არიან თავიანთი საბრძოლო ფორმისაგან, ცალკეული მოთამაშეები კი ფორსირებული ტემპით საჭიროებენ მზადების გავლას. ქუთაისელთა მიმართ პრეტენზიები ნაკლები გვაქვს, თუმცა, მათაც უნდა გაითვალისწინონ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი დრო აღარაა დარჩენილი.

ორივე ბურთი დაცვის ხაზების შეცდომის შედეგი იყო. ჯერ, მე-14 წუთზე კანთელაძემ თავით მოიგერია ერქომაიშვილის მიერ საჯარიმო მოედნის ცენტრში მოწოდებული ბურთი, მაგრამ „მოიგერია" კოტრიკაძისგან ღიად დარჩენილ შორეულ კუთხეში, როცა მეკარე, ბუნებრივია, ამას სულ არ მოელოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ასეთივე ამბავი მოხდა „ტორპედოს" საჯარიმო მოედანზე. მესხმა მარცხენა ფრთიდან დაკიდა ბურთი კართან, ნარსიამ უხეიროდ შეარჩია ადგილი კარში, ვერ მიწვდა მაღალ კუთხეს და ანგარიშიც გათანაბრდა.

მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა და მეტოქეებმა სატურნირო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს. ქუთაისის „ტორპედო" საწვრთნელ ბაზას დაუბრუნდა ლესელიძეში, ხოლო თბილისის „დინამო" შავი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრება მას შემდეგ, რაც 29 თებერვალს შინ ეთამაშება მოსკოვის „ტორპედოს".

**რ. ქორიძე.**



**სურათზე:** მატჩის მომენტი. ახალგაზრდა დინამოელები ქიქავა და ქორიძე მაღალი ბურთისთვის ბრძოლისას.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

## კარგი კარი უჩანს...

**ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 25 თებერვალი.**

**„დინამო" (ბათუმი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო) 2:1 (2:0).**

**„დინამო": ანდღულაძე (ცვახაძე), ჩხაიძე (კიპაროიძე), სირბილაძე, ხაბიბულინი, გიორგიადი, ვერულიძე, ილურიძე, ოვანესიანი, გიორგაძე, მაისურაძე, აპრესიანი.**

**„ნეფტიანიკი": ალიევი, რაგიმოვი (ახადოვი), ლიოგკი, იმაკულოვი, სიომინი, მირჯავადოვი, სტეკოლნიკოვი, რახმანოვი, ალი-ზადე, აბასოვი, გამზაევი (განიკ-ზადე).**

**მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).**

ინტერესი „სოვეტსკი სპორტის" ტურნირის ამ მატჩისადმი თავიდანვე დიდი იყო და თუმცა ბაქოელებს აკლდათ რამდენიმე მოწინავე მოთამაშე, შეხვედრა ძალიან მიმზიდველი გამოდგა. სტუმრების ახალგაზრდული შემადგენლობა მთელი ძალით იბრძოდა მასპინძელთა წინააღმდეგ, მაგრამ ბათუმელებმა თავიდანვე მტკიცედ აიღეს ხელთ ინიციატივა და თავიანთი ტაქტიკური ნახაზით წარმართეს თამაში.

პირველ წარმატებას დინამოელებმა დასაწყისშივე მიაღწიეს: ვერულიძემ კარის წინ კარგად გაიყვანა მაისურაძე, რომელმაც უმალვე გამოიყენა „ნეფტიანიკის" მცველთა შეცდომა — 1:0.

თამაში ძვლავინდებურად „ნეფტიანიკის" კართან მიმდინარეობდა. მე-15 წუთზე კომბინაცია ვერულიძე — აპრესიანი — გიორგაძე გათამაშებულ იქნა სწრაფ ტემპში, ზუსტად და დამთავრდა გიორგაძის მიერ გატანილი მეორე გოლით. ბათუმელებს ტაიმის დასასრულამდე შეეძლოთ კიდევ უფრო გაეზარდათ ანგარიში, მაგრამ ჯერ აპრესიანმა ვერ გამოიყენა საუკეთესო მომენტი, როცა იგი პირისპირ დარჩა მეკარესთან, ხოლო შემდეგ ჩხაიძემ ძელს მოახვედრა ბურთი.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა შედარებით გათანაბრდა. ბაქოელთა რამდენიმე იერიში დამთავრდა სტეკოლნიკოვის საპასუხო გოლით.

ბათუმელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

**ო. მურვანიძე.**

**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ციგურები, ისევ გაწბილება



გეტებორგი, 26 თებერვალი. გუშინ „ულევის“ სტადიონის ხელოვნურ საციგურაოზე დამთავრდა ვაჟთა 62-ე მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში და კვლავ საბჭოთა სპორტის მოყვარულთა გულისტკივილი გამოიწვია: ისევე, როგორც შარშან, ამჯერადაც არც ერთი მედალი!

გაიმარჯვა ტენსბერგელმა მოსამსახურემ, 29 წლის ფრედ ანტონ მაიერმა. ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი, თანაც, ნორვეგიელმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა მრავალჭიდში — 176,340 ქულა.

გვირგვინისთვის ბრძოლა გაიმართა ტულიპებისა და ფიორდების ქვეყნების წარგზავნილთა შორის.

— მაიერი, მაიერი, მაიერი! — გაჰყვიროდა სტადიონი 5.000 მეტრზე ნორვეგიელის რბენისას. „დაფნის გვირგვინი მაიერს ერგება, — განუცხადა საკდეს კორესპონდენტს ნორვეგიის გუნდის ხელმძღვანელმა ა. სტრემმა. — მე ვფიქრობ, რომ ფრედი ურიგო დროს არ აჩვენებს 1.500 მეტრზე, ხოლო საციგურაო მარათონში იგი საერთოდ დაუმარცხებელია“.

სტრემი ცუდი მისანი როდი გამოდგა. მართალია, 1.500 მეტრზე რბენა ჩემპიონატისთვის სარეკორდო დროით მოიგო მეორე ნორვეგიელმა, ქვეყნის ჩემპიონმა მ. ტომასენმა — 2.07,1. მან 0,1 წამით მიასწრო ფინიშთან ოლიმპიური ვერცხლის მფლობელს, ჰოლანდიელ ა. სხენკს. მაიერიც კარგად გამოვიდა: აჩვენა დღის მეექვსე დრო — 2.08,4.

ხმის ჩახლეჩამდე უჭერდა მხარს რამდენიმე ათასი ჰოლანდიელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს კ. ფერკერკს, მაგრამ ამაოდ: ოლიმპიურმა ჩემპიონმა მეხუთე დრო (2.08,2) აჩვენა და პრაქტიკულად ყველა შანსი დაკარგა შეენარჩუნებინა მსოფლიო ჩემპიონობა.

უხეიროდ გამოვიდნენ საბჭოთა მოციგურავეებიც: თუ ა. კერჩენკოს 2.08,1 არც თუ ცუდი შედეგია ჩემპიონატის დებიუტანტისთვის, რაღა უნდა ვთქვათ სსრ კავშირის რეკორდსმენზე ვ. კაპლანზე, რომელიც მეშვიდე იყო (2.09,3), ან ამ დისტანციაზე სსრ კავშირის ჩემპიონზე ი. მალიხინზე (2.10,0 — დღის მეთერთმეტე დრო), რომ აღარაფერი ვთქვათ ე. მატუსევიჩსა (2.10,4) და ვ. ლავრუშკინზე (2.12,9).

ასეთი აშკარა წარუმატებლობით შეხვდნენ საბჭოთა სპორტსმენები გადამწყვეტ რბოლას 10.000 მეტრზე: ლავრუშკინი და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი მატუსევიჩი 16 საუკეთესოს მიღმა დარჩნენ, რითაც ბოლო დისტანციაზე რბოლის უფლება დაკარგეს. აქვე ვიტყვით, რომ დარჩენილმა სამეულმა შეძლო შეენარჩუნებინა უფლება გაისის მსოფლიო ჩემპიონატში კვლავ მთლიანი გუნდით გამოსვლისა, მაგრამ ეს იყო ერთადერთი დამამშვიდებელი ფაქტორი, რადგან საციგურაო მარათონმა კიდევ უფრო გააუარესა საპატიო კვარცხლბეკზე საბჭოთა მოციგურავეების ასვლის შანსები.

მაიერი 3 დისტანციის შემდეგ V ადგილზე მიდიოდა, მაგრამ პირველსავე წყვილში (ფერკერკთან) მან ბრწყინვალედ გაირბინა 25 წრე და უეჭველი გახადა თავისი გამარჯვება. 15.26,8 — ასე არასდროს არავის ურბენია 10 კილომეტრზე მსოფლიო ჩემპიონატებში. ჰოლანდიელი მაიერს წრის სამი მეოთხედით ჩამორჩა.

ამრიგად, დაიბადა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი და დაემხო ძველი.

ვერც მანამდე ლიდერებში მყოფმა სხენკმა და ვერც ტომასენმა მიიღეს მაიერის გამოწვევა. მათ სხვა არაფერი დარჩათ გარდა იმისა, რომ ერთმანეთს შორის გაეთამაშებინათ ვერცხლისა და ბრინჯაოს დიდი მედლები. ტომასენმა მესამე შედეგი აჩვენა დისტანციაზე (15.44,0) და ქულების ჯამში გაუსწრო სხენკს. მანაც გააუმჯობესა წინანდელი მსოფლიო რეკორდი ჰოლ-ის ჩემპიონ ჰ. ტრაუბისა (176,717). ტომასენის შედეგია 176,467.

მსოფლიოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა სხენკმა ერთი საფეხურით დაიწია და საერთო III ადგილი (177,685) დაიკავა. ფერკერკი IV ადგილზე დარჩა (177,718). მარათონში ვერცხლის მცირე მედალი მოიგო მეორე ჰოლანდიელმა ი. ბოლსმა — 15.42,4.

ვერც ერთმა საბჭოთა მოციგურავემ ვერ შეძლო 16-წუთიანი ზღვარის გადალახვა. კაპლანი VII იყო (16.08,0), მალიხინი — X (16.10,5), კერჩენკო — XIV (16.25,2).

მრავალჭიდში კაპლანს VIII შედეგი აქვს (179,090), საერთაშორისო შეჯიბრებების დებიუტანტს, 20 წლის მალიხინს პირადი რეკორდი — 179,868 (X ადგილი). მეზობლადაა კერჩენკო — 180,630.

დაგვრჩენია ვთქვათ, რომ გეტებორგის სტარტებმა ყველაზე დიდი წარმატება ნორვეგიელებს მოუტანა, რომლებმაც ოქროს 4 მედალი მოიპოვეს ხუთიდან და საბოლოოდ შეარყიეს ჰოლანდიელთა ჰეგემონია საციგურაო სპორტში. საუკეთესოთა თორმეტეულში გარდა ნორვეგიის, ჰოლანდიის და სსრ კავშირის მოციგურავეებისა, მოხვდა მხოლოდ ერთი შვედი — ოლიმპიური ჩემპიონი ი. ჰიოგლინი (ეროვნული რეკორდით — 178,257 ქულა, V ადგილი).

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი ფრედ ანტონ მაიერი ასპარეზობისას.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

# ყოველი მხრიდან

## ჯარიმა დოპინგისთვის

ცნობილია, რომ გრენობლში რამდენიმე სპორტსმენი შეამოწმეს, მაგრამ ნარკოტიკები მათგან არც ერთს არ ჰქონდა გამოყენებული. და მაინც, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ დოპინგზე ლაპარაკი ამიერიდან უნდა შეწყდეს. იმ დღეებში, როცა გრენობლში ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა, ანტვერპენში საგანგებო სასამართლო ეტიენ ვანდერვირენისა და ჟან უიგის საქმეს არჩევდა.

ვანდერვირენის სახელს კარგად იცნობენ ველოსპორტის მოყვარულები. 1967 წელს მან ვერცხლის მედალი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატში. ახლა იგი სასამართლოს წინაშე წარსდგა, რადგან გამუდმებით იყენებდა დოპინგს გამარჯვებისა და დიდი პრიზების მოსახვეჭად. ექიმ ჟან უიგს ასამართლებდნენ, როგორც დანაშაულის მონაწილეს: იგი ნარკოტიკებით ამარაგებდა ვანდერვირენს.

სასამართლოზე ბევრი მოწმე გამოცხადდა, მოიტანეს ნარკოტიკების შემცველი ამპულები, აბები, კამფეტები, ვანდერვირენსა და უიგს რომ აღმოაჩნდათ. სპორტსმენი გამოტყდა, რომ დოპინგს ექიმი აძლევდა, მაგრამ ბოლო სიტყვაში მაინც განაცხადა: „თუ მე მასამართლებენ, მაშინ ჩემი გუნდის ყველა ველოსიპედისტი უნდა გაასამართლონ. გუნდის ექიმი ხომ იგივე ჟან უიგი იყო“.

ვანდერვირენი დაჯარიმდა 2 ათასი ბელგიური ფრანკით და ერთი წლით დისკვალიფიკაცია მიეცა. უიგს ორი წლით აუკრძალეს სპორტში მუშაობა. ამას გარდა, მან 6 ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს. დამსახურებული სასჯელია!

## ვის უნდა გარინჩა?

ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი ავსტრიულმა გაზეთმა „ფოლკსშტიმემ“. გაზეთი წერს, რომ ერთ დროს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი მანუელ დოს სანტოსი, იგივე გარინჩა დღეს დიდ გასაჭირში ჩავარდა. კლუბ „კორინტიანსს“ (სან-პაულუ) იგი ძირითად შემადგენლობაში აღარ გამოჰყავს. 34 წლის ფეხბურთელი გასაყიდთა სიაში მოხვდა, მაგრამ ჯერჯერობით მის ყიდვას არავინ აპირებს ძალიან იაფადაც კი.

— ადრე მილიონად მაფასებდნენ, — გულისტკივილით ამბობს გარინჩა, — ახლა კი 15 ათას დოლარად მყიდიან. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით არავითარი იმედი არა მაქვს, რომ ვინმე მიყიდის. მე კი მინდა ვითამაშო და ვიცხოვრო ფეხბურთით, რომელიც ჩემს ერთადერთ პროფესიად იქცა.

## სპორტსმენები მზად არიან ბოიკოტისთვის

ბრიტანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ დაადგინა, რომ ამიერიდან უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობის უფლება პროფესიონალებსაც მისცეს რამდენიმე ეროვნულმა კავშირმა, მათ შორის შვეციისამაც, მხარი დაუჭირა „მეამბოხეებს“. მაგრამ რა აზრისა არიან მსოფლიო სამოყვარულო ჩოგბურთის მოწინავე წარმომადგენლები?

ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა მარგარეტ კუტ-სმითმა, რომელსაც ბევრჯერ მოუგია უიმბლდონის ტურნირი, განაცხადა:

„უიმბლდონმა, რა თქმა უნდა, დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და მოყვარული სპორტსმენები მას დღემდე ყველაზე შესანიშნავ ტრადიციულ შეჯიბრებად მიიჩნევდნენ. მე წლეულსაც დიდი სიამოვნებით გამოვიდოდი ამ შეჯიბრებაში, ბრიტანეთის ფედერაციას რომ საერთაშორისო ფედერაციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება არ მიეღო. ახლა კი უიმბლდონში აღარ წავალ. სულაც არ მინდა, რომ ღია ტურნირში მონაწილეობისთვის სამოყვარულო სტატუსი დავკარგო. დარწმუნებული ვარ, ასევე ფიქრობს ბევრი ჩემი კოლეგა“.

მარგარეტი სწორი აღმოჩნდა. მეორე დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში — დევისის თასის გათამაშებაში გამარჯვებულმა ესპანელმა ჩოგბურთელმა მანუელ სანტანამ ნიუ-იორკში, ჟურნალისტებთან საუბრის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ სულაც არაა დაინტერესებული პროფესიონალთა შეჯიბრებებში და ღია ტურნირებში მონაწილეობით, „თუ ესპანეთის საჩოგბურთო კავშირი არ დამავალებს უიმბლდონის ტურნირში უთუოდ მონაწილეობას, — თქვა სანტანამ, — მე ვამჯობინებ, რომ ეს შეჯიბრება ტელეეკრანზე ვნახო“.

ფეხბურთი

# ევროპის პირველობაზე

## ინგლისელები — მეოთხედფინალში

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით 24 თებერვლის მატჩის თაობაზე შოტლანდიისა და ინგლისის გუნდებს შორის. ინგლისელ ფეხბურთელებს მეტოქის მინდორზე ფრედ უნდა ეთამაშათ შოტლანდიელებთან და ისინი ადგილს ინარჩუნებდნენ ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში. ასეც მოხდა: მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ახლა VIII ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 4 | 1 | 1 | 15—5 | 9 |
| შოტლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 10—8 | 8 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 2—6 | 3 |
| უელსი | 5 | 0 | 2 | 3 | 4—12 | 2 |

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

## ინგლისი

გათამაშების XXX ტურში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლონდონში შეხვდა „არსენალს“ და გაიმარჯვა — 2:0.

შესანიშნავად ითამაშა ბესტმა. მან 1 ბურთი გაიტანა, მეორე გოლი კი მისი ზუსტი გადაცემის შემდეგ შეაგდო ლოუმ.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „კოვენტრი-სიტი“ — „შეფილდ უენსდეი“ 3:0, „ლივერპული“ — „ლესტერ-სიტი“ 3:1, „მანჩესტერ-სიტი“ — „სანდერლენდი“ 1:0, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 2:0, „ნოტინგემ ფორესტი“ — „ბერნლი“ 1:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ფულჰემი“ 2:1.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტ“. | 29 | 59:33 | 43 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 29 | 52:24 | 40 |
| „ლივერპული“ | 29 | 45:24 | 38 |

მოსკოვის „ტორპედოს“ მომავალმა მეტოქემ, II ლიგის გუნდმა „კარდიფ-სიტიმ“ გასვლითი მატჩი წააგო „იპსვიჩთან“ — 2:4. უნდა აღინიშნოს, რომ კარდიფელები წლეულს სუსტად თამაშობენ და ლიგაში მხოლოდ XIII ადგილზე იმყოფებიან.

(საქ. ინფ.).

ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი (ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)

# 4-14 მარტი



# წყალბურთი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: ჩვენი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი), მოსკოვის „ტორპედო“ და „ბურევესტნიკი“, მოსკოვის, თბილისის, ლვოვისა და კიევის „დინამო“, ლენინგრადის „ბალტიკა“, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) და ვოლგოგრადის „სპარტაკი“.

დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 71 უე 03963